

## პროგრამის სახელწოდება:

ქართულ ენაში მომზადება (Georgian Language Preparatory Educational Program)

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი

## სწავლების ენა:

ქართული

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

წინამდებარე პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს:

- საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც დაამთავრა არაქართულენოვანი (აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ, აფხაზურ, რუსულ) სკოლა და ერთიან ეროვნულ გამოცდაზე გადალახა მინიმალური ზღვარი ზოგად უნარებში მშობლიურ ენაზე ტესტირებისას
- უცხო ქვეყნის მოქალაქეს უგამოცდოდ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

## სწავლის ხანგრძლივობა:

2 სემესტრი (სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდ(ებ)ის ჩატარებისა და მათში სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს )

## პროგრამის მიზანი:

1. ენობრივად მოამზადოს არაქართულენოვანი სტუდენტები საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო-დოკუმენტით განსაზღვრული ენის ფლობის B1+ დონის შესაბამისად;
2. უზრუნველყოს პროგრამის მონაწილეთათვის აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარება.
3. უზრუნველყოს პროგრამის მონაწილეთა ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება და მათი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვა.

## სწავლის შედეგები:

სტუდენტი ფლობს ქართულ ენას საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული B1+ დონის დესკრიპტორების თანახმად და:

- შედარებით ვრცელ მოსასმენ და წერილობით ტექსტში (ვიდეო/აუდიოჩანაწერი, ლექცია, მოხსენება, სტატია, კვლევა, ანგარიში) ამოიცნობს ძირითად იდეებს, არგუმენტებს, დასკვნებს; ახარისხებს მოსაზრებებს; ადგენს ტექსტის შესასრულებელ ამოცანასთან შესაბამისობას, აფასებს წყაროებს.
- ქმნის შედარებით მარტივ ზეპირ და წერილობით ტექსტს ყოფითი და აკადემიური მიზნებისთვის (განცხადება, წერილი, პრეზენტაცია, მოხსენება, ესე, რეფერატი და სხვ.) შესაბამისი ენობრივი სტილისა და სტრუქტურის გამოყენებით; გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას, ერთვება დისკუსიაში.
- ამოიცნობს და იყენებს ქართული კულტურის მახასიათებელ ვერბალურ და არავერბალურ ელემენტებს; პატივს სცემს და ღიაა სხვა კულტურის მიმართ.
- შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით საკუთარი სწავლის დაგეგმვა და მართვა; ავტონომიურად იუმჯობესებს ენობრივ კომპეტენციებს.

## სტუდენტის მიღწევების შეფასება:

**შეფასების ფორმები**

შუალედური (მრავალჯერადი) შეფასება - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 50% დაკვნიითი (ერთჯერადი) შეფასება - მაქსიმალური შეფასების არაუმეტეს 50%  
**შენიშვნა:** ჯამური შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასების და დასკვნიითი გამოცდის შეფასების ჯამს

**შეფასების კომპონენტი (შეფასების ხერხი)**

1. ზეპირი/წერიითი შეფასება - თეორიული/პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის წარმოდგენა
2. წერიითი გამოცდა - შუალედური ან/და დასკვნიითი გამოცდები
3. ზეპირი გამოცდა - დასკვნიითი გამოცდა

**შეფასების მეთოდები (შეფასების საშუალება)**

1. დისკუსიაში მონაწილეობა, ტესტი, პრეზენტაცია, ქეისის ამოხსნა, როლური თამაში, სხვ.
2. რეფერატი, პრეზენტაცია, სხვ.
3. პრაქტიკული სამუშაოს მომზადება, სხვ.

**შეფასების კრიტერიუმი**

შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე

■ შუალედური (სასწავლო კურსში მისი გათვალისწინების შემთხვევაში) და დასკვნიითი გამოცდის კომპონენტი სავალდებულოა. სავალდებულო სტატუსი შეიძლება მიენიჭოს სხვა კომპონენტ(ებ)საც, რაც აისახება შესაბამის სილაბუსში

■ შეფასების თითოეულ ფორმას/კომპონენტს განსაზღვრული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც, სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების მიღწევის ინტერესის გათვალისწინებით, სხვადასხვა სასწავლო კურსში განსხვავებული შეიძლება იყოს იმის გათვალისწინებით, რომ დასკვნიითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნიითი შეფასების 60%-ს

დასკვნიით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც: სავალდებულო კომპონენტ(ებ)ში მინიმალური დადებითი ქულა აქვს მოპოვებული (სადაც ამგვარი კომპონენტ(ებ)ი გათვალისწინებულია); შუალედური შეფასებისა და დასკვნიითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა, ანუ სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებით დაგროვილი აქვს ამა თუ იმ სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული მინიმალური დამშვები ქულა.

**შენიშვნა:**

შეფასების ფორმები და კომპონენტები, მათი ხვედრითი წილი საერთო შეფასებაში და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ასევე შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის; სასწავლო კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ქონდეს სტუდენტის მიღწევის შეფასების აქ მითითებულისგან განსხვავებული კომპონენტი თუ მეთოდი, რაც უნდა აისახოს შესაბამის სილაბუსში.

**შეფასების სისტემა:**

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის #3 ბრძანებით განმტკიცებული სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა უდრის 100 (ასს), შესაბამისად მაქსიმალური დადებითი შეფასება 100 ქულაა, ხოლო მინიმალური დადებითი შეფასება არის 51 ქულა

დადებითი შეფასებები: A, B, C, D, E

უარყოფითი შეფასებები:

- 1) FX - ნიშნავს, რომ სტუდენტს გამოცდის ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება იმავე სემესტრში იმის გათვალისწინებით, რომ დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში;
- 2) F - ნიშნავს, რომ სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს რომელიმე მომდევნო სემესტრში და ჩააბარებს დასკვნით გამოცდას

ქულა	შეფასება
91-100	A - ფრიადი
81-90	B - ძალიან კარგი
71-80	C - კარგი
61-70	D - დამაკმაყოფილებელი
51-60	E - საკმარისი
41-50	Fx - ვერ ჩააბარა
0-40	F - ჩაიჭრა

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:**

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი, რაც კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას მიცემთ გააგრძელონ სწავლა საბაკალავრო საფეხურზე თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ ნებისმიერ ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:**

60 კრედიტი

**სასწავლო გეგმა:**

#	სასწავლო კომპონენტის დასახელება	წინაპირობა	კრედიტი	საათი	საათების განაწილება					მუშაობის საათები დამოუკიდებელი	სასწავლო სემესტრი	
					საკონტაქტო საათები		საკონტაქტო საათები				I	II
					გამოცდა	მუშაობა	გამოცდა	მუშაობა	საკონტაქტო საათები			

1	2	3	4	5	7	8	9	10	11	12	13	14
<b>1. სავალდებულო კომპონენტები</b>												
<b>A ბლოკის სავალდებულო სასწავლო კურსები</b>												
A1.1	ქართულის, როგორც მეორე ენის ზოგადი კურსი 1	–	10	172	2	2		3	179	71	X	
A1.2	ფუნქციური გრამატიკა 1	–	5	2/27	2	2		2	64	71	X	
<b>B ბლოკის სავალდებულო სასწავლო კურსები</b>												
B1.1	ქართულის, როგორც მეორე ენის ზოგადი კურსი 1	–	10	152	2	2		3	159	91	X	
B1.2	ფუნქციური გრამატიკა 1	–	5	48	2	2		2	54	71	X	
<b>სავალდებულო სასწავლო კურსები</b>												
1.3	ენა და ციფრული რესურსები 1	–	5	46	2	2	2	2	54	71	X	
1.4	ფორმალური და აკადემიური კომუნიკაცია 1	–	5	50	2			2	54	71	X	
1.5	ენა მულტიკულტურულ გარემოში	A1.1/B1.1; 1.3	5	46	2	2	2	2	54	71		X
1.6	ქართულის, როგორც მეორე ენის ზოგადი კურსი 2	A1.1/B1.1; A1.2/B1.2	10	152	2	2		3	159	91		X
1.7	ფუნქციური გრამატიკა 2	A1.2/B1.2; A1.2/B1.2	5	48	2	2		2	54	71		X
1.8	ენა და ციფრული რესურსები 2	A1.1/B1.1; 1.3	5	46	2	2	2	2	54	71		X
1.9	ფორმალური და აკადემიური კომუნიკაცია 2	A1.1/B1.1; 1.4	5	48	2	2		2	54	71		X
<b>2. არჩევითი კომპონენტი - სავალდებულო 5 კრ.</b>												
2.1	დარგობრივი ენის კურსი (ზოგადი)	A1.1/B1.1; 1.4	5	48	2	2		2	54	71		X
2.2	დარგობრივი ენის კურსი (ბიზნესის მიმართულებით)	A1.1/B1.1; 1.4	5	48	2	2		2	54	71		X
2.3	დარგობრივი ენის კურსი (ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულებით)	A1.1/B1.1; 1.4	5	48	2	2		2	54	71		X
2.4	დარგობრივი ენის კურსი (სამართლის მიმართულებით)	A1.1/B1.1; 1.4	5	48	2	2		2	54	71		X

**შენიშვნა:**

1. პირველ სემესტრში, წინასწარი გამოცდის შედეგების საფუძველზე, სტუდენტი მოისმენს A ან B ბლოკის სასწავლო კურსებს - ქართულის, როგორც მეორე ენის ზოგადი კურსი 1 და ფუნქციური გრამატიკა 1.
2. მე-2 სემესტრში შეთავაზებული დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს ერთერთი, მომავალი კარიერული ინტერესების გათვალისწინებით.